საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მონიტორინგის ანგარიში

თებერვალი, 2013

თბილისი

ანგარიში მომზადებულია მართლმსაჯულების დამოუკიდებლობისა და სამართლებრივი გაძლიერების პროექტის ფარგლებში, რომელიც დაფინანსდა აშშ-ს განვითარების სააგენტოს (USAID) მიერ აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის (EWMI) მეშვეობით. ანგარიშის შინაარსზე პასუხისმგებელნი არიან „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“ და „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“. წინამდებარე ანგარიში შესაძლოა არ ასახავდეს USAID-ის, აშშ-ის მთავრობის ან EWMI-ის შეხედულებებს.

შინაარსი

I. შესავალი 3

II. მეთოდოლოგია 4

III. მოსამართლეთა დანიშვნის პროცედურა 5

ა) იუსტიციის უმაღლესი სკოლის მსმენელები 5

ბ) მოსამართლეთა შესარჩევი კონკურსი 10

IV. მოსამართლეთა მივლინებების პრაქტიკა 13

ა) ანალიზის დროს გამოვლენილი ხარვეზები 13

ბ) მივლინება სხვადასხვა ინსტანციაში 14

გ) მივლინების ხანგრძლივობა 15

დ) მივლინების ტერიტორიული არეალი 15

ე) მოსამართლის თანხმობა 15

ვ) მივლინების საფუძველი 15

ზ) მივლინების გავლენა სასამართლოს მუშაობაზე 17

V. დისციპლინური სამართალწარმოება 17

ა) დისციპლინური სამართალწარმოების პროცესი იუსტიციის უმაღლეს საბჭოში 19

ბ) დისციპლინური საქმის განხილვა სადისციპლინო კოლეგიაში 21

გ) დისციპლინური სახდელები და აპელაცია 22

დ) 2012 წელს განხორციელებული დისციპლინური სამართალწარმოება 23

VI. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საქმიანობის გამჭვირვალობა 24

I. შესავალი

„სასამართლოს დამოუკიდებლობისა და სამართლებრივი გაძლიერების პროექტის“ ფარგლებში „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ და საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (საია) 2012 წლის მარტიდან ახორციელებენ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საქმიანობის მონიტორინგს.

მონიტორინგის მიზანია სასამართლო სისტემაში მიმდინარე რეფორმების ფონზე ადმინისტრირების მთავარი რგოლის – იუსტიციის უმაღლესი საბჭოს – საქმიანობის შეფასება, ასევე ბოლო პერიოდში განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების პრაქტიკული რეალიზაციის და მისი შედეგების ასახვა. ამასთანავე, მონიტორინგი მიზნად ისახავს სასამართლო სისტემაში არსებული მდგომარეობის დოკუმენტირებას, რაც შემდგომ შესაძლებელს გახდის მიმდინარე პროცესებსა და რეფორმებზე დინამიკაში დაკვირვებას.

მონიტორინგის პრიორიტეტული მიმართულებები განსაზღვრულია სასამართლო ხელისუფლებაში მიმდინარე პროცესების, იმ აქტუალური საკითხებისა და სფეროების გათვალისწინებით, რომელთა იდენტიფიცირებაც ბოლო წლებში გახდა შესაძლებელი; კერძოდ, მონიტორინგის ობიექტებად განისაზღვრა შემდეგი მიმართულებები:

- მოსამართლეთა დანიშვნის პროცედურა;
- მოსამართლეთა მივლინებების პრაქტიკა;
- დისციპლინური სამართალწარმოება;
- იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საქმიანობის გამჭვირვალობა.

იმის გათვალისწინებით, რომ 2012 წლის მარტში არსებითი საკანონმდებლო ცვლილებები განხორციელდა, მონიტორინგის ობიექტად განისაზღვრა როგორც ცვლილებებამდე არსებული, ისე ცვლილებების შემდეგ დანერგილი პრაქტიკა; კერძოდ, ცვლილებები შეეხო მოსამართლეთა მივლინებებისა და დისციპლინური სამართალწარმოების რეგულირებას, რასაც მნიშვნელოვანი გავლენა უნდა მოეხდინა აღნიშნული მექანიზმების გამოყენებაზე.

მონიტორინგის პერიოდი მნიშვნელოვანი აღმოჩნდა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დაკომპლექტების მხრივ. 2012 წლის ოქტომბრიდან საბჭოში რამდენიმე ახალი წევრი დაინიშნა, მათ შორის, 4 წევრი – ვახტანგ ხმალაძე, შალვა შავგულიძე, ზაქარია ქუცნაშვილი და პაატა ლეჟავა – საქართველოს პარლამენტის გადაწყვეტილებით, 1 წევრი – ილონა თოდუა – სასამართლოს კვოტით და კიდევ 1 წევრი – გიორგი ობგაიძე – საქართველოს პრეზიდენტის კვოტით. აღსანიშნავია, რომ ამ პერიოდში საბჭოს დაკომპლექტების პროცესი საზოგადოების განსაკუთრებული ინტერესის საგანი იყო და, შესაბამისად, გამჭვირვალობის სათანადო ხარისხს მოითხოვდა. თუმცა, როგორც აღმოჩნდა, საქართველოს პარლამენტის მიერ სესიაზე საბჭოს წევრების არჩევის გარდა, ხელისუფლების არც ერთი სხვა შტოს მიერ წევრის დანიშვნის პროცესი არ იყო საკმარისად გამჭვირვალე და დაინტერესებული პირებისთვის ხელმისაწვდომი. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ, წინა პერიოდში გამოთქმული არაერთი უარყოფითი შეფასების მიუხედავად, სასამართლომ განაგრძო საბჭოს წევრების მოსამართლეთა კონფერენციის ადმინისტრაციული კომიტეტის გადაწყვეტილებით დანიშვნა. მოსამართლეთა კონფერენციის ნაცვლად 9

წევრისგან შემდგარი ადმინისტრაციული კომიტეტის მიერ ამგვარი გადაწყვეტილების მიღება საჯარო კრიტიკის საგანი იყო, რის შესახებაც ინფორმაცია ჰქონდათ ასევე სასამართლო სისტემის ხელმძღვანელებს. მიუხედავად ამისა, ილონა თოდუა საბჭოს წევრად გამწესდა ადმინისტრაციული კომიტეტის მიერ 2012 წლის 12 ოქტომბერს მიღებული დადგენილების საფუძველზე, იმ პირობებში, როდესაც აღნიშნული გადაწყვეტილების მიღებიდან რამდენიმე დღეში, კერძოდ, 2012 წლის 29 ოქტომბერს, მოსამართლეთა კონფერენცია გაიმართა.[1]

რაც შეეხება იუსტიციის უმაღლესი საბჭოს კიდევ 1 ახალ წევრს, გიორგი ობგაიძეს, ის საქართველოს პრეზიდენტის მიერ 2012 წლის 12 დეკემბერს გამოცემული განკარგულებით დაინიშნა.[2] თუმცა აღნიშნული სიახლე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ვებგვერდზე არ გამოქვეყნებულა. იმ პირობებში, როდესაც ამ საკითხით საზოგადოების დაინტერესება დიდი იყო, მხოლოდ საბჭოს წევრების ჩამონათვალში ინფორმაციის შეცვლა, ისე, რომ ამის თაობაზე შესაბამისი განცხადება საბჭოს ვებგვერდზე, სიახლეების გრაფაში არ გამოქვეყნებულიყო, რა თქმა უნდა, ვერ აკმაყოფილებს გამჭვირვალობის მოთხოვნებს.

მიუხედავად იმისა, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დაკომპლექტების პროცესი არ ყოფილა მონიტორინგის ძირითადი მიზანი, ეს საკითხი მნიშვნელოვანწილად არის დაკავშირებული საბჭოს საქმიანობის საჯაროობასთან. სწორედ ამითაა განპირობებული ანგარიშში საბჭოს წევრთა დანიშვნის პროცესის განხილვა.

II. მეთოდოლოგია

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საქმიანობის კვლევის დიდი ნაწილი საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის გზით მიღებულ მონაცემებს ეყრდნობა. მონიტორინგის განმახორციელებელმა ორგანიზაციებმა საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით მიმართეს არა მარტო საბჭოს, არამედ სხვადასხვა სასამართლოსაც.

მონიტორინგის მიზნებისთვის ასევე გამოყენებულ იქნა კანონმდებლობის ანალიზი, კერძოდ, ცვლილებებამდე არსებული და ცვლილებების შემდეგ შექმნილი საკანონმდებლო სივრცეების შედარება.

მონიტორინგის განმახორციელებელი ორგანიზაციები რეგულარულად მონაწილეობდნენ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ღია სხდომებში, ასევე ესწრებოდნენ სხვადასხვა საჯარო შეხვედრას.

აღსანიშნავია, რომ მონიტორინგის საწყის ეტაპზე იუსტიციის უმაღლესი საბჭო გახსნილი იყო მონიტორინგის განმახორციელებელ ორგანიზაციებთან კომუნიკაციისთვის. ამასთანავე, დაუბრკოლებლად ხერხდებოდა გამოთხოვილი ინფორმაციის მიღება. თუმცა მონიტორინგის ბოლო პერიოდში ანგარიშის ავტორებისთვის უცნობი მიზეზით მნიშვნელოვნად გართულდა საჭირო

[1] ინფორმაცია მოსამართლეთა კონფერენციის გამართვის თაობაზე: http://tcc.gov.ge/index.php?m=443&date=2012.10.29&newsid=460

[2] საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ახალი წევრის, გიორგი ობგაიძის, ბიოგრაფია: http://hcoj.gov.ge/ge/about/organizational-charter/sabchos-shemadgenloba/giorgi-obgaidze

ინფორმაციის მიღება; ზოგიერთ შემთხვევაში საბჭოს მიერ გამოგზავნილი პასუხი არასრული იყო, ზოგჯერ კი საერთოდ არ ხდებოდა საჯარო ინფორმაციის მოთხოვნაზე კანონით დადგენილ ვადებში რეაგირება. ამან განაპირობა ცალკეულ საკითხებთან დაკავშირებით ფაქტობრივი მონაცემების სიმწირე.[3]

III. მოსამართლეთა დანიშვნის პროცედურა

კანონმდებლობაში პირის მოსამართლედ გამწესების ორი შესაძლო გზა არსებობს. ამის გათვალისწინებით, მონიტორინგის ობიექტად განისაზღვრა ორივე მიმართულება:

1. იუსტიციის უმაღლესი სკოლის მსმენელთა მოსამართლედ დანიშვნა;
2. იუსტიციის უმაღლეს სკოლაში სწავლისგან გათავისუფლებულ პირთა კონკურსის წესით დანიშვნა.

ა) იუსტიციის უმაღლესი სკოლის მსმენელები

მოსამართლეთა დანიშვნის პროცედურასთან დაკავშირებით მონიტორინგის არეალში მოხვდა იმ პროცესის შეფასება, რომელიც იუსტიციის უმაღლეს სკოლაში პირის მსმენელად მიღებიდან მოსამართლედ დანიშვნამდე მიმდინარეობს.

მონიტორინგის დაწყებიდან (2012 წლის მარტიდან) იუსტიციის უმაღლეს სკოლაში მსმენელთა მისაღები კონკურსი **ორჯერ** გამოცხადდა: 2012 წლის 7 მაისს – მსმენელთა მე-9 ჯგუფის მისაღები კონკურსი და 2012 წლის 15 ოქტომბერს – მსმენელთა მე-10 ჯგუფის მისაღები კონკურსი.

ორივე შემთხვევაში კონკურსანტებს საბუთების მისაღებად 6-დღიანი ვადა განესაზღვრათ. „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ და საია-ს შესაძლებლობა ჰქონდათ, დასწრებოდნენ მე-9 ჯგუფის მსმენელობის კანდიდატების ნაწილთან გასაუბრებას, რომელიც 2012 წლის 21 მაისს გაიმართა. როგორც მოგვიანებით გახდა ცნობილი, კანდიდატების ნაწილთან გასაუბრება წინა დღეს – 20 მაისს, კვირას – გაიმართა, თუმცა, ვინაიდან ამის შესახებ წინასწარ გამოცხადებული არ ყოფილა, ამ პროცესზე დაკვირვება ვერ მოხერხდა.

2012 წლის 21 მაისს კონკურსის მეორე ეტაპზე გამოცხადდა 10 კონკურსანტი, რომლებმაც ინდივიდუალური გასაუბრება გაიარეს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებთან. ინტერვიუ უმეტეს შემთხვევაში 10-დან 15 წუთამდე გრძელდებოდა. შეკითხვები ძირითადად ეხებოდა კანდიდატების მოტივაციას მოსამართლის თანამდებობის დაკავებასთან დაკავშირებით; გარდა ამისა, კანდიდატებს ოჯახური მდგომარეობისა და ოჯახის წევრების სამუშაო ადგილის თაობაზე ეკითხებოდნენ. რამდენიმე კანდიდატს სასამართლო სისტემაში განხორციელებულ ცვლილებებზე დაუსვეს კითხვა და მოსამართლედ დანიშვნის შემთხვევაში მათი გეგმების თაობაზე მოსაზრებების გამოთქმაც სთხოვეს.

[3] მონიტორინგის განმახორციელებელმა ორგანიზაციებმა ვერ მიიღეს სრულყოფილი ინფორმაცია 2012 წლის 22 ოქტომბერსა და 15 ნოემბერს გაგზავნილ წერილებზე.

აღსანიშნავია, რომ ინტერვიუები დატვირთული არ ყოფილა პროფესიული შეკითხვებით, რამდენიმე გამონაკლისის გარდა, როდესაც კანდიდატებს ჰკითხეს, რას ნიშნავდა „დეკრიმინალიზაცია“, „დეპენალიზაცია“ და „კოლიზია“. ამასთანავე, კანდიდატებისთვის არ მოუთხოვიათ კონკრეტულ სამართლებრივ საკითხზე მსჯელობა ან პრობლემის ანალიზი.

ინტერვიუების დროს გამოიკვეთა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რამდენიმე წევრის განსაკუთრებული აქტიურობა. შეკითხვებს ძირითადად საბჭოს თავმჯდომარე კონსტანტინე კუბლაშვილი, საბჭოს მდივანი ვალერი ცერცვაძე და საბჭოს წევრი კახა კობერიძე სვამდნენ. საბჭოს სხვა წევრები უმეტესად მხოლოდ უსმენდნენ კანდიდატებს. აღსანიშნავია, რომ არც საბჭოს ამ სხდომას და არც მსმენელთა შემდეგ ჯგუფთან გასაუბრებას არ ესწრებოდა უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს მიერ არჩეული საბჭოს 4 წევრი. მონიტორინგის განმახორციელებელი ორგანიზაციების დაკვირვებით, პარლამენტის კვოტით დანიშნულ პირთა საბჭოს სხდომებში მონაწილეობის საკითხი ზოგადად პრობლემური იყო მონიტორინგის მთელ პერიოდში, ვინაიდან ამ ხნის განმავლობაში ისინი არც ერთ სხდომას არ დასწრებიან.

კანდიდატების თაობაზე გადაწყვეტილება მიღებული არ ყოფილა ინტერვიუების დასრულების შემდეგ. როგორც მოგვიანებით საბჭოს ვებ-გვერდიდან გახდა ცნობილი, კონკურსის შედეგები შეჯამდა საბჭოს 25 ივნისის სხდომაზე, რომელზეც მიღებულ იქნა 9 მსმენელის სკოლაში ჩარიცხვის გადაწყვეტილება. გამომდინარე იქედან, რომ აღნიშნული სხდომის შესახებ წინასწარ ცნობილი არ ყოფილა, შეუძლებელი გახდა საბჭოს წევრების შეფასებების და მსჯელობის მოსმენა კანდიდატებთან დაკავშირებით. ანგარიშის ავტორებმა საბჭოდან გამოითხოვეს სკოლის მე-9 ჯგუფის მსმენელობის კანდიდატების თაობაზე შევსებული შეფასების ფურცლები. ინფორმაციის მიღებამდე, საია-ს წარმომადგენელს საშუალება მიეცა იუსტიციის უმაღლეს საბჭოში გაცნობოდა შეფასების ფურცლის სტანდარტულ (შეუვსებელ) ფორმას, რის შედეგადაც გაირკვა, რომ შეფასების ფურცელი არ ითვალისწინებს საბჭოს წევრის მიერ კანდიდატის შეფასების თაობაზე მოტივირებული არგუმენტებისა და დასაბუთების სავალდებულოდ წარდგენას. შესაბამისად, გამორიცხულია აღნიშნულის საფუძველზე კანდიდატებთან დაკავშირებით დასკვნების გამოტანას. ამის გათვალისწინებით, შესაძლოა უმჯობესი იყოს გადაიხედოს შეფასების ფურცლების შინაარსობრივი დატვირთვის გაზრდის საკითხი. ამასთან, გასათვალისწინებელია საბჭოსგან მიღებული პასუხი, რომლის მიხედვითაც არსებულ შეფასების ფურცლებში მოცემული ინფორმაცია შეიცავს შესაფასებელი პირის მაიდენტიფიცირებელ პერსონალურ მონაცემებს, რაც დაცულია „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით. .

რაც შეეხება იუსტიციის უმაღლესი სკოლის მსმენელთა მე-10 ჯგუფის მისაღებ კონკურსს, იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ სკოლაში მსმენელთა მისაღებად კონკურსი და საბუთების მიღება 2012 წლის 15 ოქტომბერს გამოაცხადა. წინა კონკურსის მსგავსად, საბუთების მიღება მხოლოდ 6 დღეს გაგრძელდა.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ და საია-ს შესაძლებლობა ჰქონდათ, დასწრებოდნენ მე-10 ჯგუფის მსმენელობის კანდიდატებთან გასაუბრებას, რომელიც 2012 წლის 23-24 და 25 ოქტომბერს გაიმართა. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ვებგვერდზე კანდიდატებთან გასაუბრების და მისი განრიგის შესახებ წინასწარი ინფორმაცია ხელმისაწვდომი არ ყოფილა, თუმცა „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ და საია-ს იუსტიციის უმაღლეს საბჭოში კონკურსზე დასწრების შესაძლებლობა გასაუბრების თაობაზე წინასწარი შეტყობინების გაგზავნის შედეგად მიეცათ.

სამივე დღეს თითოეულ კანდიდატთან ინტერვიუ უმეტეს შემთხვევევაში 10-დან 15 წუთამდე გრძელდებოდა. წინა ჯგუფთან გასაუბრების მსგავსად, შეკითხვები ძირითადად ეხებოდა კანდიდატების მოტივაციას მოსამართლის თანამდებობის დაკავებასთან დაკავშირებით, მათ ხედვას სასამართლო ხელისუფლებაში განხორციელებული და მიმდინარე რეფორმებისა. გარდა ამისა, კანდიდატებს ოჯახური მდგომარეობისა და ოჯახის წევრების სამუშაო ადგილის თაობაზე ეკითხებოდნენ. ამავე დროს, კანდიდატების ნაწილს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრები პროფესიულ შეკითხვებსაც უსვამდნენ. კითხვები ძირითადად დამოკიდებული იყო კანდიდატების სპეციალიზაციაზე სისხლის სამართლის ან სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის სფეროში.

იუსტიციის უმაღლეს სკოლაში მე-10 ჯგუფის მსმენელობის კანდიდატების თაობაზე გადაწყვეტილება 2012 წლის 2 ნოემბერს იქნა მიღებული, რის შესახებაც ინფორმაცია რამდენიმე დღეში განთავსდა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ვებგვერდზე.[4] მსმენელთა მე-9 ჯგუფის მიღების მსგავსად, არც ამ შემთხვევაში ყოფილა წინასწარ გამოცხადებული საბჭოს შეკრებისა და მსმენელებთან დაკავშირებით დაგეგმილი მსჯელობის თაობაზე. ამის გამო საია-მ და „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველომ“ ახლაც ვერ შეძლეს საბჭოს მიერ კანდიდატების შესახებ მიღებული გადაწყვეტილების არგუმენტაციის მოსმენა.[5]

საია-მ პროცესის სრულყოფილი მონიტორინგის მიზნებისთვის იუსტიციის უმაღლესი საბჭოდან დამატებით გამოითხოვა ინფორმაცია მსმენელთა მე-9 და მე-10 ჯგუფებში მისაღები კონკურსის ფარგლებში შეტანილი განაცხადების რაოდენობის შესახებ. საბჭოდან მიღებული ინფორმაციის მიხედვით, 2012 წლის მაისში გამოცხადებულ მსმენელთა შესარჩევ კონკურსში დარეგისტრირდა 54 კონკურსანტი, 2012 წლის ოქტომბრის კონკურსში კი – 59 კონკურსანტი. პირველ კონკურსში მეორე ეტაპზე (გასაუბრებაზე) გადასვლა შეძლო 21-მა კონკურსანტმა, ხოლო მეორე კონკურსში – 33-მა კონკურსანტმა.[6] კონკურსანტების საერთო რაოდენობა მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც კონკურსის პირველი ეტაპი, რომელიც კანდიდატების წარდგენილი დოკუმენტების საფუძველზე შერჩევას გულისხმობს, სხვაგვარად არ ხვდება მონიტორინგის ფარგლებში. რაც შეეხება კონკურსის მეორე ეტაპს, როგორც ზემოთ აღინიშნა, მას ანგარიშის ავტორები უშუალოდ ესწრებოდნენ.

განხილული საკითხების გათვალისწინებით, მონიტორინგის პერიოდში იუსტიციის უმაღლეს სკოლაში მსმენელთა მიღების პრობლემები შემდეგნაირად შეიძლება დაჯგუფდეს:

- პროცესის გამჭვირვალობის დაბალი ხარისხი;
- სკოლაში მისაღები კონკურსისთვის გათვალისწინებული მცირე დრო;
- იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრთა მიერ მსმენელებთან დაკავშირებით გამოთქმული შეფასებების ხელმიუწვდომლობა.

[4] http://hcoj.gov.ge/ge/iustitsiis-umaghles-skolashi-charitskhuli-msmenelebi/1988

[5] არსებული მიდგომის გათვალისწინებით, ანგარიშის ავტორებს აღარ მიუმართავთ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოსთვის შეფასების ფურცლების მოთხოვნით.

[6] საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2013 წლის 11 იანვრის №20/13-03-ო წერილი

ქვემოთ წარმოდგენილია ორი ცხრილი, რომლებშიც, იუსტიციის უმაღლეს სკოლაში ჩარიცხული მე-9 და მე-10 ჯგუფების მსმენელთა შესახებ იუსტიციის უმაღლესი საბჭოდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე მათთან დაკავშირებული ძირითადი მონაცემებია შეტანილი.

ინფორმაცია მე-9 ჯგუფში ჩარიცხულ მსმენელთა შესახებ

სკოლაში ჩარიცხული მსმენელი	ასაკი სკოლაში ჩარიცხვის დროს	სპეციალიზაცია	ბოლო სამუშაო ადგილი
ზურაბ ბალავაძე	29 წელი	სისხლის სამართალი	თბილისის საქალაქო სასამართლო
ნინო ბუაჩიძე	34 წელი	სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართალი	საქართველოს უზენაესი სასამართლო
გიორგი გრატიაშვილი	33 წელი	სისხლის სამართალი	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პროკურატურის საგამოძიებო ნაწილი
ლევან დარბაიძე	33 წელი	სისხლის სამართალი	სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს შიდა კონტროლისა და აუდიტის სამსახური
თეა ლეონიძე	29 წელი	სისხლის სამართალი	თბილისის სააპელაციო სასამართლო
ნინო მელაძე	27 წელი	სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართალი	თბილისის სააპელაციო სასამართლო
დიანა ფარქოსაძე	30 წელი	სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართალი	იუსტიციის უმაღლესი საბჭო
ვალერიან ფილიშვილი	29 წელი	სისხლის სამართალი	ახალციხის რაიონული სასამართლო
ლადო ქარქაშაძე	33 წელი	საერთო	შემოსავლების სამსახურის ადმინისტრაციული დეპარტამენტი

ინფორმაცია მე-10 ჯგუფში ჩარიცხულ მსმენელთა შესახებ

სკოლაში ჩარიცხული მსმენელი	ასაკი სკოლაში ჩარიცხვის დროს	ბოლო სამუშაო ადგილი
ანა ჩხეტია	30 წელი	თბილისის სააპელაციო სასამართლო
მაია ქოქიაშვილი	36 წელი	თბილისის სააპელაციო სასამართლო
ბადრი ნიპარიშვილი	28 წელი	საქართველოს უზენაესი სასამართლო
ლევან მიქაბერიძე	31 წელი	თბილისის საქალაქო სასამართლო
გიორგი მიროტაძე	38 წელი	საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო
თამარ მეშველიანი	30 წელი	თბილისის საქალაქო სასამართლო
ნიკოლოზ მარგველაშვილი	28 წელი	თბილისის საქალაქო სასამართლო
ირაკლი კოპალიანი	31 წელი	საქართველოს მთავრობის კანცელარია
გიორგი კერატიშვილი	29 წელი	თბილისის საქალაქო სასამართლო
ალექსანდრე იაშვილი	28 წელი	საქართველოს უზენაესი სასამართლო
ლაშა თავართქილაძე	33 წელი	თბილისის სააპელაციო სასამართლო
გერმანე დადეშქელიანი	35 წელი	საქართველოს უზენაესი სასამართლო
მერი გულუაშვილი	33 წელი	საქართველოს უზენაესი სასამართლო
სოფიო გაგნიძე	33 წელი	თბილისის საქალაქო სასამართლო
შოთა ბიჭია	30 წელი	თბილისის სააპელაციო სასამართლო

**მე-10 ჯგუფში ჩარიცხულ პირთა ბიოგრაფიებში სპეციალიზაცია მითითებული არ ყოფილა, განსხვავებით მე-9 ჯგუფში ჩარიცხულ პირთა ბიოგრაფიებისგან.*

ბ) მოსამართლეთა შესარჩევი კონკურსი

პირის მოსამართლედ გამწესების მეორე გზა თანამდებობის კონკურსის მეშვეობით დაკავებაა. მონიტორინგის პერიოდში იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იუსტიციის უმაღლეს სკოლაში სწავლისგან გათავისუფლებული პირებისთვის კონკურსი **ერთხელ** გამოაცხადა.

კონკურსი 2012 წლის 2 ნოემბერს გამოცხადდა.[7] კონკურსის შესახებ ინფორმაციაში, რომელიც იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ვებგვერდზე განთავსდა, მითითებული არ ყოფილა არც მსურველთა მიერ დოკუმენტების რეგისტრაციის ვადა და არც კონკრეტული ვაკანტური ადგილები, რომლებზედაც ხდებოდა კანდიდატების განხილვა. განცხადებაში აღნიშნული იყო, რომ კონკურსში მონაწილეობის მსურველ პირს ასევე უნდა შეეტანა განაცხადი ელექტრონული ფორმით, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ვებგვერდის საშუალებით, რაც უზრუნველყოფდა მისთვის კონკურსის ეტაპებისა და მიღებული გადაწყვეტილების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას. ბაზის ხელმიუწვდომლობის გამო ანგარიშის ავტორებისთვის უცნობი დარჩა, ბაზაში რეგისტრაციის შემდეგ მიიღეს თუ არა კანდიდატებმა ინფორმაცია კონკრეტული ვაკანტური ადგილების შესახებ. თუმცა, ცხადია, ამგვარი ინფორმაცია მისი არსებობის შემთხვევაში ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის საჯარო უნდა ყოფილიყო.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ვებგვერდზე გამოქვეყნებულ განცხადებაში საბუთების წარდგენის ვადა მას შემდეგ დაზუსტდა, რაც საია საბჭოს დაუკავშირდა და კონკურსის ვადებით დაინტერესდა. როგორც აღმოჩნდა, რეგისტრაცია 2012 წლის 2–6 ნოემბერს მიმდინარეობდა. გამოიკვეთა, რომ საბუთების წარდგენისთვის არაგონივრულად მცირე დრო იყო განსაზღვრული, მით უმეტეს, იმის გათვალისწინებით, რომ რეგისტრაციის 5-დღიან მონაკვეთში მოჰყვა შაბათ-კვირა, ანუ, 2 არასამუშაო დღე.

კონკურსანტების მიერ წარმოსადგენი დოკუმენტების ჩამონათვალი არასრულყოფილი იყო და არ შეესაბამებოდა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ დამტკიცებულ „მოსამართლეობის კანდიდატების შერჩევის წესს“[8], რომლის მიხედვითაც, პირმა, რომელიც გათავისუფლებულია იუსტიციის უმაღლეს სკოლაში სწავლისგან, სამდივნოში რეგისტრაციისთვის უნდა წარადგინოს განცხადება *კონკრეტულ ვაკანტურ ადგილზე კონკურსში მონაწილეობის შესახებ.*[9] საბჭოს მიერ გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობის მიზნით წარმოსადგენი დოკუმენტების ჩამონათვალში ასეთი განცხადება მითითებული არ ყოფილა.

„მოსამართლეობის კანდიდატების შერჩევის წესის“ თანახმად, იუსტიციის უმაღლეს საბჭოს აქვს ვალდებულება, კონკურსის დასრულებიდან 3 დღის ვადაში გამოაქვეყნოს მოსამართლეობის

---

[7] http://hcoj.gov.ge/ge/saqartvelos-iustitsiis-umaghlesi-sabcho-atskhadebs-mosamartleta-shesarchev-konkurss/1987

[8] დამტკიცებულია საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2009 წლის 9 ოქტომბრის №1/308 გადაწყვეტილებით

[9] „მოსამართლეობის კანდიდატების შერჩევის წესი“, მე-5 მუხლის მე-2 პუნქტი

კანდიდატთა სია შესაბამისი ვაკანტური ადგილის მითითებით.[10] მიუხედავად ამისა, ანგარიშის მომზადების პროცესში ასეთი სია იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ვებგვერდზე არ გამოქვეყნებულა.

როგორც მოგვიანებით, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ვებგვერდის მეშვეობით გახდა ცნობილი, კონკურსის წესით 7 მოსამართლე დაინიშნა საერთო სასამართლოების სისტემაში. თუმცა გამოქვეყნებულ ინფორმაციაში დაზუსტებული არ ყოფილა არც დანიშნული მოსამართლეების ვინაობა (გარდა ერთისა, რომელმაც მოსამართლის ფიცი დადო) და არც ის, თუ საბჭოს რომელ სხდომაზე იქნა გადაწყვეტილება მიღებული.[11] აღსანიშნავია, რომ „მოსამართლეობის კანდიდატების შერჩევის წესის“ თანახმად, მეორე ეტაპზე გასულ კანდიდატებთან ტარდება გასაუბრება. შესაბამისად, საბჭოს მეორე ეტაპზე გასული კანდიდატები სავალდებულო წესით უნდა მიეწვია საკუთარ სხდომაზე და გასაუბრება უნდა ჩაეტარებინა. მიუხედავად ამისა, ნოემბერში საბჭოს სხდომის გამართვის შესახებ ინფორმაცია არ გამოქვეყნებულა. შესაბამისად, ანგარიშის ავტორებისთვის უცნობი დარჩა, როდის და რა ფორმით გაიმართა საბჭოს წევრების გასაუბრება მოსამართლეობის კანდიდატებთან.

ანგარიშის ავტორებმა განცხადებით მიმართეს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს და მოითხოვეს ინფორმაცია კონკურსში მონაწილე პირთა საერთო რაოდენობის, დანიშნული მოსამართლეებისა და იმ სხდომის ოქმის თაობაზე, რომელზედაც მიღებულ იქნა გადაწყვეტილება მათი დანიშვნის შესახებ. საბჭოს მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, 2012 წლის ნოემბერში გამოცხადებულ მოსამართლეთა შესარჩევ კონკურსში დარეგისტრირდა 37 კანდიდატი[12], საბჭოდან მიღებული სხდომის ოქმიდან კი ირკვევა, რომ კონკურსის მეორე ეტაპზე გადავიდა 8 კანდიდატი, რომლებთან გასაუბრებაც 2012 წლის 9 ნოემბერს გაიმართა.

რაც შეეხება წარმატებულ კონკურსანტებს, როგორც მათი ბიოგრაფიებიდან ჩანს, 8 კანდიდატიდან 7 კონკურსში მონაწილეობისას მოქმედი მოსამართლე იყო. ერთი მათგანი უფლებამოსილებას ახორციელებდა „მივლინების“ სასამართლოში, რომელშიც ის კონკურსის შედეგად, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით დაინიშნა. გარკვეულ ბუნდოვანებას ქმნის მოსამართლის იმავე სასამართლოში დანიშვნა, რომელშიც ის 2012 წელს იყო დანიშნული. სხდომის ოქმის შინაარსობრივი სიმწირიდან გამომდინარე, აღნიშნულის მიზეზის, ასევე სხვა კანდიდატებთან დაკავშირებით გამოთქმული შეფასებების გარკვევა შეუძლებელი გახდა.

[10] „მოსამართლეობის კანდიდატების შერჩევის წესი“ , მე-7 მუხლი
[11] http://hcoj.gov.ge/ge/akhladdanishnulma-mosamartlem-iustitsiis-umaghles-sabchoshi-fitsi-dado/1993
[12] საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2013 წლის 11 იანვრის №20/13-03-ო წერილი

დანიშნული მოსამართლე	ასაკი მოსამართლედ დანიშვნის დროს	ბოლო სამუშაო ადგილი	დანიშვნის ადგილი
ლეილა გურჩიანი	58 წელი	ცაგერის რაიონული სასამართლოს მოსამართლე (1991–2011 წლებში); ადვოკატი (2011 წლიდან)	ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს მაგისტრატი მოსამართლე
ვერა დოლიძე	43 წელი	ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე	ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე
მარინე იმერლიშვილი	47 წელი	ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე (2005 წლიდან)	ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე
არსენ კალატოზიშვილი	29 წელი	თბილისის საქალაქო სასამართლოს მაგისტრატი მოსამართლე (2011 წლიდან)	ზესტაფონის რაიონული სასამართლოს მოსამართლე
დავით სვანაძე	53 წელი	ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე (2005 წლიდან)	სამტრედიის რაიონული სასამართლოს მოსამართლე
ტარიელ ტაბატაძე	46 წელი	თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე (2012 წლიდან)	გორის რაიონული სასამართლოს მოსამართლე
თამარ ჭუნიაშვილი	55 წელი	თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე (2012 წლიდან)	თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე

დასკვნის სახით შეიძლება გამოიყოს მოსამართლეთა კონკურსის წესით დანიშვნის პროცესში გამოვლენილი ძირითადი ხარვეზები:

- იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ვებგვერდზე განთავსებული არასრული ინფორმაცია;
- მსურველების მიერ განაცხადების წარსადგენად გათვალისწინებული არაგონივრულად მცირე დრო;
- პროცესის გამჭვირვალობისა და საჯაროობის დაბალი ხარისხი.

IV. მოსამართლეთა მივლინებების პრაქტიკა

2012 წლის 27 მარტს „საერთო სასამართლოებში საქმეთა განაწილებისა და უფლებამოსილების სხვა მოსამართლისათვის დაკისრების წესის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანამდე მოსამართლეთა მივლინების მარეგულირებელი კანონმდებლობა ამ მექანიზმის გამოყენების ორ საფუძველს უთითებდა:

- სასამართლოში (მივლინების ადგილას) მოსამართლის არყოფნა;
- განსახილველ საქმეთა რაოდენობის მკვეთრი ზრდა (მივლინების ადგილას).

ამასთანავე, კანონი არ აწესებდა არანაირ დამატებით მოთხოვნასა თუ შეზღუდვას აღნიშნული მექანიზმის გამოყენების ინტენსივობასა და ხანგრძლივობაზე. მივლინების წინაპირობად არც მოსამართლესთან სავალდებულო წინასწარი კონსულტაციები და მისი თანხმობა ყოფილა გათვალისწინებული. შესაბამისად, 2012 წლის 27 მარტის ცვლილებამდე მოსამართლის მიმართ მივლინების გამოყენება მხოლოდ ზემოხსენებული ორი საფუძვლიდან ერთ-ერთის არსებობას და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებას საჭიროებდა.

2012 წლის 27 მარტის ცვლილების შემდეგ მივლინების მარეგულირებელ კანონმდებლობაში დამატებითი მოთხოვნები გაჩნდა, რამაც არსებითად შეცვალა მივლინების გამოყენების წესი საკანონმდებლო დონეზე.[13] ანგარიშში მოცემულია ცვლილების ამოქმედებამდე კანონის ნორმების პრაქტიკული რეალიზაციის შეფასება. მოცემული ანალიზი მიზნად ისახავს 2011 წელს განხორციელებული მივლინებების იმ დროს არსებულ კანონმდებლობასთან შესაბამისობის კუთხით შესწავლას.

რაც შეეხება საკანონმდებლო ცვლილების ამოქმედების შემდეგ არსებულ ვითარებას, მონიტორინგის განმახორციელებელმა ორგანიზაციებმა იუსტიციის უმაღლეს საბჭოს იმდროინდელი მივლინებების შესახებ მიღებული გადაწყვეტილებების გადმოცემის თხოვნით მიმართეს. თუმცა ანგარიშის მომზადების პერიოდში საბჭოს გადაწყვეტილებები არ მოუწოდებია. ამასთანავე, ანგარიშის ავტორებისთვის ცნობილი გახდა სტატისტიკა, რომლის მიხედვითაც, 2012 წლის 20 აპრილიდან (ცვლილების ამოქმედებიდან) 1 დეკემბრამდე საერთო სასამართლოებში განხორციელდა 40 მივლინება, რომელთა უმეტესი ნაწილი ინფორმაციის მიღების მომენტისთვის ძალადაკარგული იყო.[14] რაც შეეხება უშუალოდ მივლინების პროცესისა და მივლინების განხორციელების დასაბუთების შეფასებას, გადაწყვეტილებების ხელმიუწვდომლობის გამო საია-მ და „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველომ“ ამის გაკეთება ვერ მოახერხეს.

ა) ანალიზის დროს გამოვლენილი ხარვეზები

[13] ანგარიში „მართლმსაჯულების სისტემა საქართველოში“: http://www.coalition.org.ge/ge/article119

[14] საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2012 წლის 18 დეკემბრის №1181/1072-03-ო წერილი

ანალიზისთვის იუსტიციის უმაღლესი საბჭოდან გამოთხოვილ იქნა საბჭოს გადაწყვეტილებები 2011 წელს განხორციელებული მივლინებების შესახებ. გადაწყვეტილებების დასაბუთებულობისა და მიზანშეწონილობის კვლევის მიზნით გამოთხოვილ იქნა დამატებითი დოკუმენტებიც, კერძოდ, 2011 წლის ყველა სხდომის ოქმი, რომლებზედაც მიღებულ იქნა გადაწყვეტილება მოსამართლის მივლინების შესახებ. გარდა ამისა, იმის შესაფასებლად, თუ რამდენად ახდენდა გავლენას მივლინებები სასამართლოების მუშაობაზე და რამდენად არსებობდა მივლინებების რეალური საფუძვლები, გამოთხოვილ იქნა ასევე მიმდინარე და დასრულებული საქმეების რაოდენობა ყველა სასამართლოდან, რომლებიდანაც და რომლებშიც განხორციელდა მოსამართლის მივლინება. სიცხადისთვის სასამართლო, რომლიდანაც მოხდა მოსამართლის მივლინება, ანგარიშში მოხსენიებულია „დანიშვნის“ სასამართლოდ, ხოლო სასამართლო, რომელშიც მოხდა მისი მივლინება – „მივლინების“ სასამართლოდ.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოდან მიღებული ინფორმაციის თანახმად, 2011 წელს 42 მივლინება განხორციელდა. როგორც საბჭოდან მიღებულმა გადაწყვეტილებებმა აჩვენა, მხოლოდ მათი ანალიზი შეუძლებელს გახდიდა, კონკრეტულ შემთხვევაში გარკვეულიყო მოსამართლის მივლინების საფუძველი, ვინაიდან ამ გადაწყვეტილებათა აბსოლუტურ უმრავლესობაში მითითებული იყო მხოლოდ კანონის შესაბამისი მუხლი, ყოველგვარი დამატებითი დასაბუთების გარეშე.

შესაბამისად, თითოეულ შემთხვევაში მივლინების საფუძვლის გასარკვევად საჭირო გახდა სხდომის ოქმის ანალიზი, რომელშიც მეტ-ნაკლებად აისახებოდა მივლინების განმაპირობებელი გარემოებები. აღსანიშნავია, რომ, იუსტიციის უმაღლესი საბჭოდან 42 გადაწყვეტილების მიღების მიუხედავად, სხდომების ოქმები მხოლოდ 19 მივლინებასთან დაკავშირებით იქნა მიღებული.[15] შესაბამისად, ყველა დანარჩენ შემთხვევაში (23 მივლინება) მივლინების შესახებ მიღებული გადაწყვეტილების მიზანშეწონილობისა და დასაბუთებულობის შეფასება შეუძლებელი გახდა. აქედან გამომდინარე, მივლინებების შინაარსობრივი (დასაბუთებულობა/მიზანშეწონილობა) ანალიზი მოცემულია სწორედ იმ 19 შემთხვევასთან დაკავშირებით, რომლებზედაც მოწოდებულ იქნა სხდომების ოქმები. სხვა შემთხვევებში ანგარიში უმეტესად სტატისტიკური ინფორმაციის წარმოდგენით შემოიფარგლება.

ბ) მივლინება სხვადასხვა ინსტანციაში

როგორც აღმოჩნდა, მივლინების 42 შემთხვევიდან 39-ში მივლინება ერთი და იმავე ინსტანციის სასამართლოებს შორის განხორციელდა. გამონაკლისი იყო:

- თეა ძიმისტარაშვილის მივლინება მცხეთის რაიონული სასამართლოდან თბილისის სააპელაციო სასამართლოში;
- ბესარიონ ტაბაღუას მივლინება თელავის რაიონული სასამართლოდან თბილისის სააპელაციო სასამართლოში;
- ხათუნა ხომერიკის მივლინება აბაშის რაიონული სასამართლოდან ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში.

[15] საია-მ იუსტიციის უმაღლესი საბჭოდან დამატებით გამოითხოვა ყველა დანარჩენი მივლინების შესახებ სხდომების ოქმები; 2012 წლის 22 ოქტომბრის №გ-04/13-12 წერილი

გ) მივლინების ხანგრძლივობა

მივლინების 42 შემთხვევიდან მხოლოდ 1-ში იყო იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებაში მითითებული მივლინების პერიოდი: ცისანა სირბილაძის მივლინება საგარეჯოს რაიონული სასამართლოდან რუსთავის საქალაქო სასამართლოში 2011 წლის 6 ივნისიდან 2011 წლის 5 სექტემბრამდე განხორციელდა. არც ერთ სხვა შემთხვევაში მივლინების ხანგრძლივობა საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული არ ყოფილა. როგორც საბჭოს 2011 წლის 30 მაისის სხდომის ოქმიდან ირკვევა, საგარეჯოს რაიონული სასამართლოს მოსამართლის, ცისანა სირბილაძის, მივლინების საკითხის განხილვისას დასმულ იქნა მივლინების ხანგრძლივობის საკითხი და აღინიშნა, რომ ეს გადაწყვეტილება მოსამართლესთან შეთანხმების შედეგად უნდა ყოფილიყო მიღებული. აღსანიშნავია, რომ 2011 წელს საბჭოს კანონმდებლობით არ ჰქონია მივლინების კონკრეტული ვადების დაცვის ვალდებულება, მიუხედავად იმისა, რომ კანონმდებლობა მივლინების დროებით და საგამონაკლისო ხასიათზე უთითებდა.

დ) მივლინების ტერიტორიული არეალი

მოსამართლის მივლინება ძირითადად იმავე ან ახლო რეგიონის სასამართლოში ხორციელდებოდა. თუმცა იყო გამონაკლისებიც, მათ შორის, ირაკლი ბონდარენკოს მივლინება ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოდან სიღნაღის რაიონულ სასამართლოში. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ არ არსებობს არანაირი კანონისმიერი დათქმა მივლინების ტერიტორიული ნიშნით შეზღუდვასთან დაკავშირებით.

ე) მოსამართლის თანხმობა

მიუხედავად იმისა, რომ 2011 წელს კანონმდებლობა არ ითვალისწინებდა მოსამართლის თანხმობას, როგორც მივლინების ერთ-ერთ აუცილებელ წინაპირობას, მაინც საინტერესოა, როგორი იყო პრაქტიკა ამ მიმართულებით. როგორც შესწავლილი სხდომების ოქმებიდან გამოჩნდა, 5 შემთხვევაში მოსამართლეებმა სხვადასხვა ფორმით გამოხატეს თანხმობა/სურვილი, უფლებამოსილება „მივლინების“ სასამართლოში განეხორციელებინათ. სხვა შემთხვევებში არც გადაწყვეტილებებში და არც ოქმებში ნათლად გამოხატული არ ყოფილა შესაბამისი მოსამართლის თანხმობა ან წინააღმდეგობა მივლინებასთან დაკავშირებით. აღსანიშნავია, რომ მოსამართლეების – ბეჟანიშვილისა და ხომერიკის – მივლინებები, სხდომების ოქმების თანახმად, მათთან წინასწარ შეთანხმებული არ ყოფილა, ვინაიდან არსებული მდგომარეობა არ იცვლებოდა.

ვ) მივლინების საფუძველი

მოსამართლეთა მივლინებების შესახებ გადაწყვეტილებების მოტივაცია მოცემული ანალიზის ყველაზე რთული კომპონენტი იყო იმდენად, რამდენადაც ეს გადაწყვეტილებები დასაბუთებულობით არ

გამოირჩეოდა და უმეტესად იდენტური და არაარგუმენტირებული იყო. შესაბამისად, მივლინებების საფუძვლების შესახებ ინფორმაცია სხდომების ოქმებში იქნა მოძიებული. როგორც აღმოჩნდა, მივლინება ძირითადად ხდებოდა კონკრეტულ სასამართლოში მოსამართლის არყოფნის მოტივით, რაც საჭიროს ხდიდა ამ სასამართლოში სხვა მოსამართლის მივლინებას. გარდა ამისა, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მოტივაციაში ძირითადად სხვადასხვა სასამართლოში საქმეთა რაოდენობის მკვეთრი ზრდაა მითითებული.

სხვა შემთხვევებიდან განსაკუთრებით საყურადღებოა ის შემთხვევები, როდესაც მოსამართლის მივლინება იმ სასამართლოს ლიკვიდაციის მოტივით განხორციელდა, რომელშიც კონკრეტული მოსამართლე იყო დანიშნული. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 44-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სასამართლოს ლიკვიდაციის შემთხვევაში მოსამართლეს წინასწარი წერილობითი თანხმობითა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით შეიძლება დაეკისროს შესაბამისი ან ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს მოსამართლის უფლებამოსილების განხორციელება თავისი სამოსამართლო უფლებამოსილების ვადის ფარგლებში. ამდენად, კანონმდებლობა მივლინების მექანიზმის გამოყენებას სასამართლოს ლიკვიდაციას არ უკავშირებს. სასამართლოს ლიკვიდაციისას კანონმდებლობით გათვალისწინებულია მოსამართლის სხვა სასამართლოში „გადანიშვნა“ მოსამართლის უფლებამოსილების ვადით და არა მივლინება.

საბჭოს მიერ ანგარიშის ავტორებისთვის აღნიშნულ საკითხზე გაზიარებული პოზიციის თანახმად, სასამართლოების ლიკვიდაციის დროს არ ხდება მოსამართლის დანიშვნა ლიკვიდირებულ სასამართლოში. ამ დროს ახალშექმნილი სასამართლოს დასახელება ემთხვევა ერთ-ერთი ლიკვიდირებული სასამართლოს დასახელებას, თუმცა საუბარია ახლადშექმნილ სასამართლოზე, რომლის სამოქმედო ტერიტორია ახლებურად არის განსაზღვრული...სასამართლოს ლიკვიდაციის შემთხვევაში ჯერ ხდება მოსამართლის დანიშვნა რომელიმე სასამართლოში და ამის შემდეგ შეიძლება მოხდეს მისი მივლინება სხვა სასამართლოში.

ანგარიშის ავტორებისთვის იუსტიციის უმაღლესი საბჭოდან გამოთხოვილი მასალების ანალიზის შედეგად, სასამართლოს ლიკვიდაციასთან დაკავშირებული მივლინების შესაძლო ფაქტები გამოიკვეთა შემდეგ შემთხვევებში:

- ხათუნა ხომერიკის მივლინება
- ინდირა მაშანეიშვილის მივლინება
- შალვა მჭედლიშვილის მივლინება

იმის გასარკვევად აღნიშნული მოსამართლეები მივლინებამდე გადაინიშნენ თუ არა სხვა სასამართლოებში, ანგარიშის ავტორებმა მიმართეს იუსტიციის იმაღლესი საბჭოს ვებ-გვერდს, რომლის მიხედვითაც ზემოთ აღნიშნული მოსამართლეების გადანიშვნა სხვა სასამართლოებში (ლიკვიდირებული სასამართლოს ანალოგიური სახელწოდების მქონე ან სხვა სახელწოდების სასამართლოში) დაფიქსირებული არ არის. გამომდინარე იქიდან, რომ ანგარიშის ავტორებისთვის ამ ეტაპზე ინფორმაციის სხვა წყარო ხელმისაწვდომი არ ყოფილა შეუძლებელია იმის დადგენა, მოსამართლეები სასამართლოს ლიკვიდაციის შემდეგ იქნენ თუ არა გადანიშნული სხვა სასამართლოში და შესაბამისად, რამდენად კანონიერად განხორციელდა მათი მივლინება.

ზ) მივლინების გავლენა სასამართლოს მუშაობაზე

საყურადღებოა მივლინების მექანიზმის გამოყენების შედეგები სხვა სასამართლოსთვის. სხდომების ოქმების ანალიზისას გამოიკვეთა, რომ მივლინება გარკვეულ გავლენას ახდენს „დანიშვნის“ სასამართლოს მუშაობაზედაც, თუ იქ აღარ რჩება მოსამართლეთა საკმარისი რაოდენობა.

სხდომების ოქმებში აისახა 2 შემთხვევა, როდესაც იუსტიციის უმაღლეს საბჭოს მოუწია მოსამართლეების მცხეთისა და ზუგდიდის რაიონულ სასამართლოებში მივლინება იმის გამო, რომ თავად ამ სასამართლოებიდან მანამდე ორ-ორი მოსამართლე უფლებამოსილების განსახორციელებლად სხვა სასამართლოებში იქნა მივლენილი.

საბოლოო ჯამში, შეიძლება ითქვას, რომ, როგორც 2011 წლის მივლინებების პრაქტიკამ აჩვენა, არსებობს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების დასაბუთების პრობლემა; ამასთანავე, ცალკეულ შემთხვევებში ეჭვქვეშ დგება მივლინების კანონიერება. მივლინების პროცესის სრულყოფილ ანალიზს ის ართულებს, რომ მოსამართლის მივლინების შესახებ ცალკე აღებული გადაწყვეტილება არ იძლევა საბჭოს მოქმედების კანონიერებისა და მიზანშეწონილობის შეფასების შესაძლებლობას. მოცემული ანალიზის მომზადებისთვის გამოყენებული სხდომების ოქმები მეორეხარისხოვანი წყაროა და შეიძლება გამოდგეს მხოლოდ დამხმარე საშუალებად საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების საფუძვლებისა და კონტექსტის უკეთესად გააზრებისთვის, რაც, ბუნებრივია, ვერ ჩაანაცვლებს გადაწყვეტილებების დასაბუთების მნიშვნელობას.

რაც შეეხება 2012 წელს კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებების შემდეგ მოსამართლეებისთვის სხვა სასამართლოებში უფლებამოსილების დაკისრებას, საია-მ ამ საკითხთან დაკავშირებით იუსტიციის უმაღლეს საბჭოს მიმართა და გამოითხოვა ინფორმაცია იმდროინდელი მივლინებების თაობაზე[16]. საბჭოდან მიღებულ იქნა არასრულყოფილი ინფორმაცია, კერძოდ, მხოლოდ მივლინებების რაოდენობა და მივლინებების რეესტრი. გადაწყვეტილებების მოუწოდებლობამ ცვლილებების შემდგომი პერიოდის შესახებ ანალიზის მომზადება შეუძლებელი გახადა.

V. დისციპლინური სამართალწარმოება

2012 წლის მარტამდე მოსამართლეთა მიმართ დისციპლინური სამართალწარმოება კონფიდენციალური იყო, რაც გამორიცხავდა მისი გამოყენების პრაქტიკის შეფასებას.

„2012 წელს კანონმდებლობამ მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა მოსამართლეთა მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების რეგულირების თვალსაზრისით. ცვლილებების უმეტესობა მიმართული იყო დისციპლინური სამართალწარმოების სრული კონფიდენციალურობიდან მისი ნაწილობრივ გასაჯაროებისკენ. ცვლილებები ასევე შეეხო დისციპლინური სამართალწარმოების

[16] 2012 წლის 15 ნოემბრის №გ-04/41-42 წერილი

საფუძვლებს. რეკომენდაციების გათვალისწინებით, დისციპლინური სამართალწარმოების საფუძვლებიდან ამოღებულ იქნა „მოსამართლის მიერ კანონის უხეში დარღვევა“ და „შრომის შინაგანაწესის დარღვევა““.[17]

მიუხედავად იმისა, რომ ცვლილებებმა მნიშვნელოვნად გაზარდა პროცესის გამჭვირვალობა და მასზე საზოგადოებრივი კონტროლის განხორციელების შესაძლებლობა, საკანონმდებლო ცვლილებებზე რეტროაქტიული მოქმედების ძალა არ გავრცელებულა. შესაბამისად, მონიტორინგის მიღმა დარჩა ცვლილებებამდე განხორციელებული დისციპლინური სამართალწარმოების შინაარსობრივი ნაწილი. ცვლილებებამდელ პერიოდთან დაკავშირებით შესაძლებელია მხოლოდ სტატისტიკური მონაცემების ანალიზი, თუმცა ინფორმაციის სიმწირე უფრო სიღრმისეულ კვლევას გამორიცხავს.

რაც შეეხება 2012 წლის დისციპლინურ სამართალწარმოებას, აღსანიშნავია, რომ საკანონმდებლო ცვლილებები განხორციელდა 2012 წლის მარტში, რის შემდეგაც წარმოიშვა სადისციპლინო კოლეგიის გადაწყვეტილებების საჯაროდ გამოქვეყნების ვალდებულება. თუმცა ანგარიშის მომზადების პერიოდში ამგვარი გადაწყვეტილება არ გამოქვეყნებულა. იმის გასარკვევად, მიღებული იქნა თუ არა მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ გადაწყვეტილება ცვლილებების ამოქმედების შემდეგ, საია-მ საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით იუსტიციის უმაღლეს საბჭოს მიმართა.[18]

იუსტიციის უმაღლესი საბჭოდან მიღებული პასუხის მიხედვით[19], ცვლილებების ამოქმედებიდან (2012 წლის 20 აპრილი) 1 დეკემბრამდე განხილულ იქნა 4 დისციპლინური საქმე, რომლებიდანაც 1 მოსამართლის მიმართ გამოყენებულ იქნა შენიშვნა, 2 მოსამართლის მიმართ – საყვედური, ხოლო 1-ს კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიემართა. საბჭომ ანგარიშის ავტორებს ასევე აცნობა, რომ, „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის თანახმად, საბჭო მოკლებულია შესაძლებლობას, გაავრცელოს დისციპლინური საქმეების გადაწყვეტილებები.

აღსანიშნავია, რომ 2012 წლის მარტში განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების მთავარი ღირებულება დისციპლინური სამართალწარმოების გასაჯაროების პროცესის დაწყება იყო. სწორედ ამ მიზანს ემსახურებოდა ცვლილება, რომლის თანახმადაც, „სადისციპლინო კოლეგიისა და სადისციპლინო პალატის გადაწყვეტილებები, პირის პერსონალური მონაცემების გარეშე, ქვეყნდება ოფიციალურ ვებ გვერდზე.“[20] ამ ნორმის მიხედვით, მოსამართლის მიმართ განხორციელებული დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ მიღებული გადაწყვეტილების გამოქვეყნება არის არა შესაბამისი ორგანოს დისკრეცია, არამედ მისი ვალდებულება, რომელსაც ცვლილებების ამოქმედების შემდეგ მას კანონმდებლობა აკისრებს. რაც შეეხება ზემოაღნიშნული კანონის მე-5 მუხლს, რომლის საფუძველზედაც ანგარიშის ავტორებს უარი ეთქვათ დისციპლინური საქმეების გადაწყვეტილებების გაცნობაზე, ამ მუხლის თანახმად, დისციპლინური სამართალწარმოების პროცესი კონფიდენციალურია, გარდა კანონით დადგენილი შემთხვევებისა. სადისციპლინო კოლეგიისა და სადისციპლინო პალატის

[17] http://www.coalition.org.ge/ge/article119/
[18] 2012 წლის 15 ნოემბრის №გ-04/41-42 წერილი
[19] საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2012 წლის 18 დეკემბრის №1181/1072-03-ო წერილი
[20] „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის 81-ე მუხლის პირველი პუნქტი

ვალდებულება, გამოაქვეყნონ მიღებული გადაწყვეტილებები, სწორედ ამგვარ, კანონით გათვალისწინებულ შემთხვევად უნდა იქნეს გაგებული. სხვაგვარი ინტერპრეტაციისას კანონმდებლის მიერ 2012 წლის მარტში დისციპლინური სამართალწარმოების გასაჯაროების უზრუნველსაყოფად განხორციელებული ცვლილება აზრს კარგავს.

რაც შეეხება ცვლილებების ამოქმედების შემდეგ განხორციელებული დისციპლინური სამართალწარმოების შეფასებას, აღსანიშნავია, რომ იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ არ შეასრულა კანონით გათვალისწინებული ვალდებულება სადისციპლინო კოლეგიის გადაწყვეტილებების საკუთარ ვებგვერდზე, ამისთვის სპეციალურად განსაზღვრულ ადგილას გამოქვეყნების თაობაზე. შესაბამისი გადაწყვეტილებების ხელმიუწვდომლობის გამო ანგარიშის ავტორებმა დამატებითი შეფასებების გაკეთება ვერ მოახერხეს.

ა) დისციპლინური სამართალწარმოების პროცესი იუსტიციის უმაღლეს საბჭოში

„საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, დისციპლინური სამართალწარმოება იწყება დისციპლინური გადაცდომის ჩადენის შესახებ საჩივრის/განცხადების *წინასწარი შემოწმებით,* რაც, 2011 წელს მოქმედი ნორმის მიხედვით, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის, სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივნის ან საბჭოს სხვა წევრის (საბჭოს აპარატის მოხელის) კომპეტენცია იყო.[21]

ანგარიშში გაანალიზებული ინფორმაცია შეიცავს *მხოლოდ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ფარგლებში განხილული საჩივრების/განცხადებების შესახებ მონაცემებს,* ვინაიდან, საბჭოდან მიღებული ინფორმაციის თანახმად, 2011 წელს „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლით გათვალისწინებულ დისციპლინური დევნის დაწყებაზე უფლებამოსილ თანამდებობის პირებს მოსამართლეთა მიმართ დისციპლინური დევნა არ განუხორციელებიათ.[22]

რაც შეეხება იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სამოსამართლო ეთიკისა და დისციპლინური სამართალწარმოების დეპარტამენტის მიერ 2011 წელს შესწავლილ საქმეებს, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ვებგვერდზე არსებული ინფორმაციის მიხედვით, საბჭოში 2011 წელს განსახილველად წარდგენილი იყო 940 საჩივარი (განცხადება, წერილი), რაც 173 ერთეულით ნაკლებია წინა წლის საჩივრების (განცხადებების, წერილების) რაოდენობაზე.[23] ამასთანავე, როგორც საბჭოდან მიღებული წერილიდან ირკვევა, საბჭოს დისციპლინური სამართალწარმოება მოსამართლეთა მიმართ,

---

[21] „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტი

[22] საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2012 წლის 2 მარტის №178/163-03-ო წერილი

[23] 2011 წლის დისციპლინურ საქმეთა სტატისტიკა ხელმისაწვდომია: http://hcoj.gov.ge/ge/distsiplinuri-samartaltsarmoeba/sadistsiplino-statistika/statistika-2011

დისციპლინური დევნის დაწყების საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების გარეშე, არცერთ განცხადებაზე/საჩივარზე არ განუხორციელებია.[24]

წინასწარი შემოწმების შემდეგი ეტაპია დისციპლინური დევნის დაწყების საფუძვლიანობის შემოწმება, რის შესახებაც გადაწყვეტილებას, 2011 წელს მოქმედი ნორმით, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი ან შესაბამისი სასამართლოს თავმჯდომარე იღებდა.[25] დევნის დაწყების საფუძვლიანობის შემოწმების ეტაპზე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივნის მიერ მიღებული გადაწყვეტილება შესაძლოა გულისხმობდეს *დევნის შეწყვეტას ან მოსამართლისთვის ახსნა-განმარტების ჩამორთმევას*, რაც დისციპლინური სამართალწარმოების პროცესის გაგრძელებას ნიშნავს. აქედან გამომდინარე, მოსამართლის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის შესახებ შეტანილი საჩივრების/განცხადებების პირველადი „გაცხრილვა" ხდება სწორედ ამ ეტაპზე, როდესაც მიიღება გადაწყვეტილება დისციპლინური დევნის შეწყვეტის ან შემდგომი მსვლელობის თაობაზე, რაც მოსამართლისთვის ახსნა-განმარტების ჩამორთმევით გამოიხატება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მოსამართლის მიმართ დისციპლინური დევნის შეწყვეტის შესახებ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივნის გადაწყვეტილება წარედგინება იუსტიციის უმაღლეს საბჭოს, რომელსაც შეუძლია მხარი დაუჭიროს აღნიშნულ გადაწყვეტილებას ან შეცვალოს ის, რასაც მოჰყვება დისციპლინური სამართალწარმოების პროცესის გაგრძელება და მოსამართლისთვის ახსნა-განმარტების ჩამორთმევა.

სტატისტიკური ინფორმაციის მიხედვით, 2011 წელს იუსტიციის უმაღლეს საბჭოში წარდგენილი საჩივრების (განცხადებების, წერილების) შესწავლის შედეგად მიღებულ იქნა შემდეგი გადაწყვეტილებები:

- 422 დისციპლინურ საქმეზე მოსამართლეთა მიმართ შეწყდა დისციპლინური დევნა;
- 19 დისციპლინურ საქმეზე მოსამართლეებს მიემართათ კერძო სარეკომენდაციო ბარათით;
- 8 დისციპლინურ საქმეზე მოსამართლეებს ჩამოერთვათ ახსნა-განმარტება, *საიდანაც 2 დისციპლინურ საქმეზე მოსამართლეები მიეცნენ დისციპლინურ პასუხისგებაში,* 3 დისციპლინურ საქმეზე მოსამართლეებს მიემართათ კერძო სარეკომენდაციო ბარათით, ხოლო 3 დისციპლინურ საქმეზე მიმდინარეობს გამოკვლევა;
- სხვა განცხადებებთან (საჩივრებთან, წერილებთან) გაერთიანდა იმავე საკითხებზე განმეორებით შესული განცხადებები, ასევე გადაიგზავნა ქვემდებარეობით და მოქალაქეებს ეცნობათ პასუხი 431 განცხადებასა და წერილზე;
- 61 საჩივრის (განცხადების) საფუძველზე მიმდინარეობს დისციპლინური სამართალწარმოება.

აღნიშნული ინფორმაციის მიხედვით, 940 საჩივრიდან/განცხადებიდან 879-ს სხვადასხვაგვარი მსვლელობა მიეცა , დანარჩენ 61-ზე კი დისციპლინური სამართალწარმოება მიმდინარეობს, რაც იმას

[24] საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2012 წლის 2 მარტის №178/163-03-ო წერილი

[25] „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ" საქართველოს კანონის მე-9 მუხლის პირველი პუნქტი

ნიშნავს, რომ ეს საჩივრები/განცხადებები განსახილველად 2012 წელს გადმოვიდა და, შესაბამისად, მათ შესახებ ინფორმაცია 2012 წლის სტატისტიკურ მონაცემებში აისახება.

რაც შეეხება განხილული საჩივრების/განცხადებების ნაწილს, როგორც სტატისტიკური ინფორმაციიდან ჩანს, საქმეების უმეტეს ნაწილზე (44,9%) დისციპლინური დევნა შეწყდა. კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიემართა 22 მოსამართლეს (ამათგან 3 მოსამართლეს – ახსნა-განმარტების ჩამორთმევის შემდეგ). „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, *„თუ **დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმებისას ან დისციპლინური საქმის გამოკვლევისას** უტყუარად დადგინდება მოსამართლის მიერ ისეთი დისციპლინური გადაცდომის ჩადენა, რომლისთვისაც მიზანშეუწონლად იქნება მიჩნეული მოსამართლის დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემა, შესაბამის ორგანოს ან თანამდებობის პირს უფლება აქვს შეწყვიტოს დისციპლინური სამართალწარმოება და მოსამართლეს მიმართოს კერძო სარეკომენდაციო ბარათით.“*[26] მოსამართლისთვის კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა შესაძლებელია სადისციპლინო კოლეგიის მიერ მიღებული გადაწყვეტილებითაც, როდესაც ხდება სადისციპლინო კოლეგიის მიერ მოსამართლის დისციპლინური გადაცდომის ჩადენაში ბრალეულად ცნობა და მისთვი დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება. თუმცა აღნიშნულ შემთხვევებში 22 მოსამართლისთვის კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა გამოყენებულ იქნა მათი დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემის გარეშე, ზემოხსენებული ნორმის შესაბამისად.

როგორც წარმოდგენილი ინფორმაციიდან ჩანს, დისციპლინური დევნის დაწყების საფუძვლიანობის შემოწმების შემდეგ, შესწავლილი საქმეებიდან მხოლოდ 8 შემთხვევაში იქნა მიღებული გადაწყვეტილება მოსამართლისთვის ახსნა-განმარტების ჩამორთმევის შესახებ. აღნიშნული ციფრი მნიშვნელოვნად განსხვავდება 2010 წლის მაჩვენებლისგან.[27] კერძოდ, იუსტიციის უმაღლეს საბჭოში 2010 წელს არსებული 1116 განცხადებიდან (საჩივრიდან, წერილიდან) 54 დისციპლინურ საქმეზე იქნა მიღებული გადაწყვეტილება მოსამართლისთვის ახსნა-განმარტების ჩამორთმევის შესახებ, რაც დისციპლინური სამართალწარმოების პროცესის შეწყვეტის ერთადერთი ალტერნატივაა. მიუხედავად იმისა, რომ არსებული სხვაობა მნიშვნელოვანი და თვალში საცემია, იმის გათვალისწინებით, რომ არც 2010 და არც 2011 წლის დისციპლინური საქმეების შინაარსი ხელმისაწვდომი არ არის, ამ ანალიზის ფარგლებში აღნიშნული სხვაობის კონკრეტული საქმის მახასიათებლების ან განხილული საჩივრების/განცხადებების დასაბუთებულობის საფუძველზე ახსნა შეუძლებელია.

ბ) დისციპლინური საქმის განხილვა სადისციპლინო კოლეგიაში

ზემოხსენებული სხვაობიდან გამომდინარე, მნიშვნელოვნად განსხვავდება 2010 და 2011 წლებში სადისციპლინო კოლეგიაში გადაგზავნილ საქმეთა რაოდენობებიც. 2010 წელს დისციპლინურ

[26] „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტი

[27] 2010 წლის დისციპლინურ საქმეთა სტატისტიკა ხელმისაწვდომია: http://hcoj.gov.ge/ge/distsiplinuri-samartaltsarmoeba/sadistsiplino-statistika/statistika-2010

პასუხისგებაში მიეცა 30 მოსამართლე; შესაბამისად, ამდენივე საქმე გაეგზავნა განსახილველად სადისციპლინო კოლეგიას. 2011 წელს კი დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემის შესახებ გადაწყვეტილება 2 მოსამართლის მიმართ იქნა მიღებული.

რაც შეეხება სადისციპლინო კოლეგიის მიერ საქმის განხილვის პროცესს, ამ შემთხვევაშიც საინტერესოა 2010 და 2011 წლების სტატისტიკური ინფორმაციების შედარება, ვინაიდან ასევე მნიშვნელოვნად განსხვავდება განხილულ საქმეთა რაოდენობები. როგორც ზემოთ აღინიშნა, სადისციპლინო კოლეგიას 2010 წელს განსახილველად 30 დისციპლინური საქმე ჰქონდა (წინა წლის ნაშთი – 0), 2011 წელს კი ასეთ საქმეთა რაოდენობა 27 იყო (წინა წლის ნაშთი – 25).

ოფიციალური ინფორმაციის თანახმად, სადისციპლინო კოლეგიამ 2010 წელს შესული 30 საქმიდან მხოლოდ 5 განიხილა, 2011 წელს კი მან 5-ჯერ მეტი, კერძოდ, 25 საქმის განხილვა მოახერხა.[28] 2 დისციპლინური საქმე განსახილველად 2012 წელს გადმოვიდა, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ საქმეებზე შეიძლება გამჭვირვალობის ახალი სტანდარტი გავრცელდეს. საკანონმდებლო ცვლილებების მიხედვით, თუკი ეს საქმეები ცვლილებების ამოქმედების შემდეგ იქნება განხილული, მათ შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომი გახდება და სადისციპლინო კოლეგიას მის მიერ მიღებული გადაწყვეტილების ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსება მოუწევს. გამჭვირვალობის ამ რეჟიმში შეიძლება მხოლოდ ეს 2 საქმე მოექცეს, ვინაიდან ცვლილებები არ ითვალისწინებს გამჭვირვალობის იმავე სტანდარტის გავრცელებას სადისციპლინო კოლეგიის მიერ მიღებულ ძველ გადაწყვეტილებებზე.

განხილულ საქმეებს შორის სხვაობა მნიშვნელოვანია და უფრო ღრმა ანალიზს მოითხოვს, თუმცა, როგორც ზემოთ აღინიშნა, იმის გათვალისწინებით, რომ საქმეების შინაარსი ხელმისაწვდომი არ არის, სადისციპლინო კოლეგიის მუშაობის განსხვავებული ტემპების ცალკეულ საქმეთა სირთულის ან სხვა ობიექტური გარემოებების საფუძველზე ახსნა შეუძლებელია.

გ) დისციპლინური სახდელები და აპელაცია

2011 წელს ყველაზე მკაცრი სანქცია – მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლება – გამოყენებულ იქნა 1 მოსამართლის მიმართ. რაც შეეხება სხვა სანქციებს, განხილული საქმეების რაოდენობიდან გამომდინარე, 2011 წელს სანქციების გამოყენების შემთხვევები გაიზარდა. 2 მოსამართლეს სახდელად მკაცრი საყვედური დაეკისრა; 2 მოსამართლეს მიემართა კერძო სარეკომენდაციო ბარათით; 6 მოსამართლის მიმართ შეწყდა დისციპლინური საქმის წარმოება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოდან მიღებული პასუხის მიხედვით[29], 2011 წელს გასაჩივრებული იყო სადისციპლინო კოლეგიის 2 გადაწყვეტილება, რომელთაგან ერთ შემთხვევაში საქმის წარმოება შეწყდა პირადი განცხადების საფუძველზე მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლების გამო,

[28] სტატისტიკური ინფორმაციის მიხედვით, აღნიშნული 25 საქმის განხილვა სადისციპლინო კოლეგიას 2011 წლის პირველ 6 თვეში ჰქონდა დასრულებული.
[29] 2012 წლის 6 მარტის №ვ-140-12 წერილი

ხოლო მეორე შემთხვევაში კოლეგიის გადაწყვეტილება მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ ძალაში დარჩა.

დ) 2012 წელს განხორციელებული დისციპლინური სამართალწარმოება

ანგარიშის მთავარი მიზანი იყო საკანონმდებლო ცვლილებებამდე არსებული ვითარებისა და ცვლილებების შემდეგ შექმნილი მდგომარეობის შეფასება, თუმცა, როგორც უკვე აღინიშნა, ცვლილებების შემდეგ განხორციელებული დისციპლინური სამართალწარმოების თაობაზე გადაწყვეტილებები ანგარიშის ავტორებისთვის ხელმისაწვდომი არ გამხდარა. შესაბამისად, მონიტორინგის მიზნებისთვის მხოლოდ ის სტატისტიკური მონაცემები იქნა გამოყენებული, რომლებიც ანგარიშის მომზადების დროს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ვებგვერდზე იყო გამოქვეყნებული. აღნიშნული ინფორმაცია დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ 1 წლის მონაცემებს შეიცავდა და, მათი ხასიათიდან გამომდინარე, ღრმა შინაარსობრივ ანალიზს გამორიცხავდა.

ზოგადად უნდა აღინიშნოს, რომ 2012 წლის განმავლობაში შედარებით მცირე იყო მოსამართლის მიმართ შეტანილი დისციპლინური საჩივრების/განცხადებების რაოდენობა.[30] იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ვებგვერდზე არსებული ინფორმაციის მიხედვით, 2012 წლის 1 იანვრიდან 2013 წლის 1 იანვრამდე საბჭოში შეტანილ იქნა 844 განცხადება. 2011 წლიდან გადმოსული 61 განცხადების ჩათვლით, საბჭოს 2012 წლის განმავლობაში სულ 905 განცხადება ჰქონდა განსახილველი.

სტატისტიკური ინფორმაციის მიხედვით, აღნიშნული 905 განცხადებიდან:

- 201 საქმეზე შეწყდა დისციპლინური დევნა;
- 15 დისციპლინურ საქმეზე მოსამართლეს მიემართა კერძო სარეკომენდაციო ბარათით;
- 11 დისციპლინურ საქმეზე მოსამართლეს ჩამოერთვა ახსნა-განმარტება (ამათგან 4 შემთხვევაში მოსამართლე მიეცა დისციპლინურ პასუხისგებაში);
- 620 განცხადება გაერთიანდა სხვა განცხადებებთან;
- 58 განცხადებაზე მიმდინარეობს დისციპლინური დევნის დაწყების საფუძვლიანობის შემოწმება.

სამწუხაროდ, მოცემული სტატისტიკური მაჩვენებლები არ იძლევა 2012 წლის დისციპლინური საქმეების სრულყოფილი შეფასების შესაძლებლობას; კერძოდ, ნათელი არ არის გამოყენებული დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა; ამასთანავე, ხელმისაწვდომი არ არის დისციპლინური საქმეების შინაარსი.

[30] სტატისტიკური ინფორმაცია ხელმისაწვდომია საბჭოს ვებ-გვერდზე: http://hcoj.gov.ge/files/pdf%20files/statistika%20%202012.pdf

VI. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საქმიანობის გამჭვირვალობა

მონიტორინგის პერიოდში ამოქმედდა საბჭოს ახალი ვებგვერდი; საბჭომ დაამტკიცა საზოგადოებასთან კომუნიკაციისა და ნდობის სამოქმედო გეგმა. ვებგვერდზე სპეციალურად გამოიყო საბჭოს სხდომების გრაფა, რომელიც სხდომის თარიღისა და დღის წესრიგის გამოქვეყნებისთვის არის განკუთვნილი. იქვე გამოყოფილია სპეციალური ადგილი სხდომის ოქმის ასატვირთად.

საბჭოს ვებგვერდის მიხედვით, 2012 წელს საბჭოს სხდომები 3 აპრილსა და 3 ივლისს გაიმართა. მათ შესახებ ინფორმაცია წინასწარ განთავსდა ვებგვერდზე. გამოქვეყნდა ასევე სხდომათა დღის წესრიგები.

საბჭოს ვებგვერდის მიხედვით, სხდომა 2012 წლის 3 ოქტომბერსაც უნდა გამართულიყო, თუმცა ამ სხდომის არც დღის წესრიგი და არც ოქმი არ გამოქვეყნებულა. საია-ს მიმართვის საპასუხოდ საბჭოს მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, 3 ოქტომბრის სხდომაზე საბჭომ მიიღო მხოლოდ ერთი გადაწყვეტილება – „მ. იმერლიშვილისთვის დაწყებული საქმეების განხილვის დამთავრებამდე მოსამართლის უფლებამოსილების ვადის გაგრძელების შესახებ“. ვებგვერდზე ამ დრომდე არ არის განთავსებული 3 ოქტომბრის სხდომის შესახებ ინფორმაცია, კერძოდ, დღის წესრიგი და სხდომის ოქმი.

აღსანიშნავია, რომ, იმ სხდომების გამართვის გარდა, რომელთა შესახებაც ინფორმაცია საბჭოს ვებგვერდზე იყო განთავსებული, მონიტორინგის პერიოდში საბჭო, სავარაუდოდ, რამდენიმეჯერ შეიკრიბა, მათ შორის, მაშინ, როდესაც მიიღო გადაწყვეტილებები მსმენელების იუსტიციის უმაღლეს სკოლაში მიღების შესახებ და მოსამართლეების კონკურსის წესით დანიშვნის თაობაზე, ასევე 2012 წლის 5 ოქტომბერს, რომლითაც დათარიღებულია ანგარიშის ავტორებისთვის ხელმისაწვდომი საბჭოს რამდენიმე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება, მათ შორის, თბილისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარედ ბატონი ვალერი ცერცვაძის ხელახლა არჩევის შესახებ.[31] აღნიშნული სხდომების შესახებ ინფორმაცია არ გამოქვეყნებულა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ანგარიშის ავტორებმა საბჭოს შემადგენლობის განახლების შემდეგ საბჭოს მუშაობის თაობაზე ინფორმაციის საბჭოს ex officio წევრისგან მოპოვება სცადეს. როგორც საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ, ბატონმა ვახტანგ ხმალაძემ, განაცხადა, იგი საბჭოს წევრი 2012 წლის 21 ოქტომბერს გახდა, თუმცა საბჭოს სხდომის შესახებ ინფორმაცია არჩევიდან დაახლოებით 1 თვის განმავლობაში არ მიუღია, ამის შემდეგ კი მას რამდენიმეჯერ გაეგზავნა ასეთი ინფორმაცია, თუმცა პარლამენტში სასესიო პროცესის მიმდინარეობის გამო მხოლოდ 1 შეხვედრაში მონაწილეობა შეძლო. ანგარიშის ავტორებს მნიშვნელოვნად მიაჩნიათ, რომ საბჭომ უზრუნველყოს ყველა წევრის სათანადოდ ინფორმირება სხდომების შესახებ, რათა საბჭოს საქმიანობასა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მონაწილეობა ხელისუფლების ყველა შტომ მიიღოს.

საბჭოს საქმიანობის არასაკმარისმა გამჭვირვალობამ ხელი შეუშალა კვლევის თითოეული კომპონენტის მონიტორინგს; ამავე დროს, ის აბრკოლებს საზოგადოების მიერ საბჭოს საქმიანობაზე დაკვირვების ეფექტიანად განხორციელებას, რაც ამ საქმიანობის საჯაროობის ხარისხსაც ამცირებს. რადგან საბჭოს მომავალი საქმიანობისა და სხდომების შესახებ ცნობილი არ ყოფილა, ამა თუ იმ საკითხზე საბჭოს წევრთა მსჯელობისა და პოზიციების მოსმენა შეუძლებელი გახდა. შესაბამისად, ზოგიერთ საკითხთან

[31] http://hcoj.gov.ge/ge/valeri-tsertsvadze-tbilisis-saapelatsio-sasamartlos-tavmdjdomared-meore-vadit-airchies/1997

დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღებისას საბჭოს მოტივაცია ბუნდოვანი რჩებოდა. გარდა იმისა, რომ გამჭვირვალობის პრობლემა დაბრკოლებებს ქმნიდა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღების დაკვირვების პროცესში, ის ასევე განაპირობებდა საჯაროობის ვალდებულების დარღვევას, რომელიც საბჭოს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით აქვს განსაზღვრული.

საბჭო არის კოლეგიური ადმინისტრაციული ორგანო, რომელსაც აკისრია ვალდებულება, უზრუნველყოს სხდომათა ღიად და საჯაროდ წარმართვა; უფრო კონკრეტულად კი, საბჭო, როგორც კოლეგიური საჯარო დაწესებულება, ვალდებულია ერთი კვირით ადრე საჯაროდ გამოაცხადოს მომავალი სხდომის, მისი ჩატარების ადგილის, დროისა და დღის წესრიგის თაობაზე.[32] აქედან გამომდინარე, საბჭოს შეკრება და სხდომის გამართვა იმ პირობებში, როდესაც ამის შესახებ კანონმდებლობით დადგენილი წესით წინასწარ არ ყოფილა ცნობილი, ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას.

ამასთანავე, უნდა აღინიშნოს, რომ საბჭო ასევე ვალდებულია ხელმისაწვდომი გახადოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება და საჯარო – სხდომის ოქმი. მიუხედავად იმისა, რომ საბჭომ ბოლო პერიოდში არაერთი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მიიღო, საბჭოს ვებგვერდზე განთავსებული ბოლო გადაწყვეტილება 2012 წლის 23 აპრილით არის დათარიღებული.[33]

დასკვნის სახით უნდა აღინიშნოს, რომ საბჭოს საქმიანობა უფრო გამჭვირვალე პირობებში წარმართვას საჭიროებს; კერძოდ:

- სხდომებზე გამართული მსჯელობა და დისკუსია ღია და საჯარო უნდა იყოს, რაც გულისხმობს საბჭოს ვალდებულებას, წინასწარ გახადოს ხელმისაწვდომი ინფორმაცია მომავალი სხდომების თარიღებისა და დღის წესრიგების შესახებ;

- საბჭომ საკუთარ ვებგვერდზე გამართული სხდომის ოქმი და მიღებული გადაწყვეტილება უნდა გამოაქვეყნოს.

გამჭვირვალობის ხარისხის გაზრდა, პროცესის გაჯანსაღების გარდა, უზრუნველყოფს საბჭოს მიერ კანონმდებლობის მოთხოვნათა შესრულებას, ხელს შეუწყობს საბჭოს ცნობადობის ამაღლებას და დაინტერესებულ საზოგადოებას საბჭოს საქმიანობის ირგვლივ უფრო არგუმენტირებული დისკუსიის წარმართვაში დაეხმარება.

[32] საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 34-ე მუხლის პირველი ნაწილი
[33] http://hcoj.gov.ge/ge/2012-tseli